კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

2021

1. **ზოგადი დებულებანი.**

1.1. შპს ,,კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ეთიკის კოდექსი (შემდგომში - ,,ეთიკის კოდექსი“) მიღებულია საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების საფუძველზე.

1.2. წინამდებარე ეთიკის კოდექსის მიზანია, უნივერსიტეტში თავისუფლების, თანასწორობისა და პროფესიონალიზმის ღირებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

1.3. ეთიკის კოდექსი ადგენს სასწავლო პროცესში ჩართული პირების ზოგად და აკადემიურ პროცესებთან/აქტივობებთან დაკავშირებულ ქცევის წესებსა და სტანდარტებს. ასევე, ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის წესებისა და სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებელ ღონისძიებებსა და პროცედურებს, წახალისების ღონისძიების გამოყენების საფუძვლებსა და პროცედურებს.

1.4. იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის დასახული მისიისა და მიზნების მიღწევა, თავისუფალი და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისი საგანმანათლებლო და პროფესიული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული წესები და დებულებები შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირისთვის (მათ შორის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ყველა აღნიშნული პირი შემდგომში მოიხსენიება, როგორც ,,სასწავლო პროცესში ჩართული პირი” ან/და ,,ვალდებული პირი”). მათი დარღვევის შემთხვევა, შესაძლებელია, გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ან დამრღვევ პირთან ურთიერთობის (მათ შორის ხელშეკრულების) შეწყვეტის საფუძველი.

1.4.1. გარდა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულებებისა ან/და დარღვევებისა, ეთიკის კოდექსის დარღვევად შესაძლებელია, მიჩნეული იქნას პირის იმგვარი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, წინამდებარე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებსა და პრინციპებს.

1.5. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების და წესების მოქმედება არ შემოიფარგლება უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ტერიტორიით. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ჩართული პირი ვალდებულია, წინამდებარე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესები, რომლებიც ეხება უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის პერსონალთან, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ან უნივერსიტეტთან სხვაგვარად დაკავშირებულ პირებთან ურთიერთობებს, ასევე დაიცვას უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთაც.

1.6. უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვა პირები, რომლებიც ჩართული არიან საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში და ამ მიზნით მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ სხვა დაწესებულებებში (მათ შორის, კლინიკებში) განხორციელებულ

აქტივობებსა და პროცესებში, ვალდებული არიან დაემორჩილონ წინამდებარე დაწესებულების დადგენილ ქცევის წესებსა და ნორმებს. აღნიშნული წესების დარღვევა შესაძლებელია გახდეს უნივერსიტეტის მიერ დამრღვევი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველი.

1.7. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.7.1. უნივერსიტეტის ტერიტორია - უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული მისამართი.

1.7.2. უნივერსიტეტის პერსონალი - განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, დებულებით, შინაგანაწესით და მოიცავს უნივერსიტეტში ნებისმიერი სტატუსით დასაქმებულ პირს.

1.7.3. უნივერსიტეტთან დაკავშირებული პირები - უნივერსიტეტის პერსონალი, უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვა პირები, რომლებიც უნივერსიტეტთან იმყოფებიან სახელშეკრულებო ან კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში.

1.7.4. აკადემიური აქტივობა - ლექცია, სემინარი, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაო, სხვა აქტივობა, რომელსაც მოიცავს აკადემიური პროცესი და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით; სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული აქტივობები.

2. ძირითადი პრინციპები

2.1. ეთიკის კოდექსი აღიარებს და ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის და არამხოლოდ იმას, რომ ყველა ადამიანს აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ხარისხიანი განათლების მიღების უფლება თანასწორუფლებიან და თავისუფალ გარემოში.

2.2. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი, მასთან დაკავშირებული ურთიერთობები ემყარება აკადემიური თავისუფლების, კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალეობის პრინციპებს.

2.3. სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა პირს გააჩნია თანაბარი წვდომა საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულ უფლებებზე.

2.4. უნივერსიტეტში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

2.4.1. დისკრიმინაციად მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

3. ქცევის ზოგადი წესები

3.1. სასწავლო პროცესში ჩართული პირი ვალდებულია:

3.1.1. პატივი სცეს სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა პირებს, იყოს კოლეგიალური და სხვა პირებთან ურთიერთობაში დაიცვას ეთიკისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებული წესები.

3.1.2. საკუთარი საქმიანობა ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა უფლება-მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპების დაცვით.

3.1.3. პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების ან უნივერსიტეტთან სხვაგვარად დაკავშირებული პირების პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს.

3.1.4. გაუფრთხილდეს და არ შეუქმნას საფრთხე უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების ან უნივერსიტეტთან სხვაგვარად დაკავშირებულ პირების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

3.1.5. პატივი სცეს და გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის სახელს, საქმიან რეპუტაციასა და ქონებას. არ გაავრცელოს მცდარი ინფორმაცია უნივერსიტეტის, პერსონალისა და სტუდენტების შესახებ.

3.1.6. საუნივერსიტეტო რესურსები (მათ შორის ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი და სხვა) გამოიყენოს მართლზომიერად და მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

3.2. ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები აკრძალულია და მათი ჩადენა სასწავლო პროცესში ჩართული პირის მიერ ჩაითვლება ქცევის ზოგადი წესების დარღვევად:

3.2.1. უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების ან უნივერსიტეტთან სხვაგვარად დაკავშირებული პირების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა ნებისმიერი ნიშნით.

3.2.2. უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების ან უნივერსიტეტთან სხვაგვარად დაკავშირებული პირების ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაშინება, ჩაგვრა, ზეწოლა, ამ ქმედებების ხელშეწყობა, ნებისმიერი მიზნით ან საფუძვლით.

3.2.3. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსიგარეტის, თამბაქოს მოწევა გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა.

3.2.4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ტოქსიკური, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, შენახვა, მოხმარება ან/და გადაცემა.

3.2.5. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ასაფეთქებელი ან/და აალებადი საშუალებების შეტანა, შენახვა, მოხმარება ან/და გადაცემა.

3.2.6. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ცივი ან/და ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა, შენახვა, მოხმარება ან/და გადაცემა.

3.2.7. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება.

3.2.8. უნივერსიტეტის ტერიტორიის დაბინძურება/დანაგვიანება.

3.2.9. განზრახ ცრუ განგაშის გამოწვევა ან/და მისი ხელშეწყობა.

3.2.10. უნივერსიტეტთან ან/და მასთან დაკავშირებული პირების შესახებ პირადი ან კონფიდენციალური ინფორმაციის, შესაბამისი ნებართვისა და პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის გარეშე გამჟღავნება ან/და პირადი მიზნებით გამოყენება.

3.2.11. კომპიუტერულ ქსელში შეღწევით, ტექნიკური საშუალებების ან ნებისმიერი გზით უნივერსიტეტში დაცულ ინფორმაციაზე (მათ შორის და არამხოლოდ, მატერიალური სახით არსებული დოკუმენტებზე, ელექტრონულ დოკუმენტებზე, მიმოწერაზე და მონაცემთა ბაზებზე) არასანქცირებული წვდომის მოპოვება ან/და სხვა მანიპულაციის ჩატარება.

4. აკადემიურ პროცესთან და აქტივობებთან დაკავშირებული ქცევის წესები

4.1. სასწავლო პროცესში ჩართული პირი ვალდებულია, დროულად, დაგვიანების გარეშე, გამოცხადდეს აკადემიურ აქტივობებზე შესაბამისი აკადემიური ცხრილის მიხედვით.

4.2. ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები აკრძალულია და მათი ჩადენა სასწავლო პროცესში ჩართული პირის მიერ, ჩაითვლება აკადემიურ პროცესთან და აქტივობებთან დაკავშირებული ქცევის წესების დარღვევად:

4.2.1. აკადემიური პროცესისთვის ხელის შეშლა (საუბრით, რეპლიკებით, ხმაურით ან სხვაგვარი მოქმედებით, რომელიც აფერხებს ან/და შეუძლებელს ხდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას).

4.2.2. სასწავლო პროცესის აუდიო/ვიდეო/ფოტო გადაღება, შემდგომი გამოყენება ან გავრცელება შესაბამისი ნებართვისა და პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის გარეშე.

4.2.3. აკადემიური სიყალბე (გამოცდების ან დავალებების გადაწერა ნებისმიერი საშუალებით, ნებადაურთველი მასალის გამოყენება გამოცდების დროს და სხვა) ან მისი ხელშეწყობა.

4.2.4. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის აკადემიურ პროცესში მონაწილეობისთვის რაიმე გზით ხელის შეშლა.

4.2.5. პლაგიატი - სხვისი იდეების ან ნაშრომების საკუთრად გასაღება. ნაშრომში სხვისი ნაწარმოების, ნაშრომების ან/და სხვა წყაროების გამოყენება ავტორის შესაბამისი წესებით მითითების გარეშე. მათ შორის და არამხოლოდ, ჯგუფური ნაშრომის ინდივიდუალურად გასაღება და ინდივიდუალურის - ჯგუფურად.

4.2.5.1. პლაგიატის ფორმებთან, მისი გამოვლენის, პრევენციის და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მიზნით უნივერსიტეტში მიიღება პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც ასევე შესასრულებლად სავალდებულო ძალას ატარებს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

4.2.6. ნებისმიერი სახით ზეგავლენის მოხდენა ან მისი მცდელობა აკადემიურ შეფასებებს ან/და შედეგებზე გავლენის მიზნით.

4.2.7. გამოცდის ან სხვა სახის აკადემიურ აქტივობაში მონაწილეობის მიღება სხვა სტუდენტის სახელით. ამავე ან მსგავსი ქმედების განხორციელებაში ნებისმიერი სახის მონაწილეობა.

4.2.8. საგამოცდო მასალების არასანქცირებულად მოპოვება, მათი შენახვა, გამოყენება ან/და გავრცელება. ასეთ მასალებზე ნებისმიერი გზით წვდომის მოპოვების შემთხვევაში, სასწავლო პროცესში ჩართული პირი ვალდებულია, შეატყობინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

5. წახალისების ღონისძიებები

5.1. საკუთარი მოვალეობების კეთილსინდისიერად, ჯეროვნად განხორციელებისა და უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული სარგებლობის ან/და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საქმიანობის/აქტივობის/ინიციატივების განხორციელებისთვის უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია, განიხილოს სასწავლო პროცესში ჩართული პირების მიმართ წამახალისებელი ღონისძიების გამოყენების საკითხი.

5.2. წამახალისებელ ღონისძიებებს წარმოადგენს:

5.2.1. მადლობის გამოცხადება;

5.2.2. პრემიის (ერთჯერადი ფულადი თანხის) გაცემა;

5.2.3. ძვირფასი საჩუქრით დასაჩუქრება;

5.2.4. პროფესიული განვითარების ღონისძიების დაფინანსება;

5.2.5. კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობის დაფინანსება.

5.3. წახალისების ღონისძიების გამოყენება ფორმდება რექტორის ბრძანებით.

6. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ზომები

6.1. სასწავლო პროცესში ჩართული პირის მიერ უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, წინამდებარე ეთიკის კოდექსით, ინდივიდუალური ხელშეკრულებით ან/და უნივერსიტეტის სხვა შიდა მარეგულირებელი აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების ან/და ქცევის წესის დარღვევა, შესაძლებელია გახდეს დამრღვევი პირის მიმართ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების საფუძველი.

6.2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს წარმოადგენს:

6.2.1. შენიშვნა;

6.2.2. საყვედური - მკაცრი გაფრთხილება;

6.2.3. ჯარიმა - ეთიკის კოდექსით ან/და შინაგანაწესით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6.2.4. დარღვევის შედეგად დამდგარი ქონებრივი ზიანის ანაზღაურება;

6.2.5. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა (მათ შორის, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა).

6.3. უნივერსიტეტის პერსონალთან მიმართებაში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზომებისა:

6.3.1. შრომითი ანაზღაურების დაქვითვა;

6.3.2. თანამდებობრივი ჩამოქვეითება.

6.4. სტუდენტის მიერ აკადემიურ პროცესთან და აქტივობებთან დაკავშირებული ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს დარღვევასთან რელევანტურ საგანში ან საგნებში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მინიჭება, როგორც უშუალოდ აქტივობის ფარგლებში (მაგალითად გამოცდაზე) ისე, საგნის საერთო შეფასებაში (აღნიშნული არ საჭიროებს დისციპლინურ საქმისწარმოებას და წარმოადგენს ლექტორის ან/და შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელის კომპეტენციას).

6.5. დარღვევის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დამრღვევის მიმართ გამოყენებული იყოს დისციპლინური პასუხისმგებლობის რამდენიმე ღონისძიება ერთდროულად.

6.6. წინამდებარე ეთიკის კოდექსის ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის განმეორებითი ხასიათი, როგორც პასუხისმგებლობის ზომის დამამძიმებელი გარემოება, განისაზღვრება დარღვევიდან უკანასკნელი ერთი კალენდარული წლის მანძილზე სხვა ნებისმიერი დარღვევის არსებობით, მიუხედავად იმისა, დარღვევები ერთიდაიმავე ხასიათისაა თუ არა.

6.7. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევი პირი ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს 30 კალენდარული დღის ვადაში.

6.8. სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად ჯარიმის ან დამდგარი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, დაკისრებული თანხის ოდენობა პრიორიტეტულად გამოქვითოს სწავლის საფასურისთვის გადახდილი თანხებიდან.

7. დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანო და მისი საქმიანობის წესი.

7.1. უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევის გამო შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილი ორგანოა უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭო.

7.2. უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით.

7.3. დისციპლინური საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების შემთხვევაში, საბჭოს შემადგენლობაში შედის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრი ერთი სტუდენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7.3.1. დისციპლინური საბჭოს შემადგენლობაში შემავალი სტუდენტი შეირჩევა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოში შემავალი სტუდენტების მიერ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სტუდენტს შეარჩევს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

7.4. დისციპლინური საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება მინიმუმ ორი წევრი. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხდება სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება რექტორის ხმას.

7.5. საბჭოს წევრს, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი განსახილველ საკითხთან მიმართებით, არ აქვს წარმოებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება.

7.6. დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია, სხდომაზე ხმის უფლების გარეშე მოიწვიოს უნივერსიტეტში დასაქმებული პირი, რომელიც კომპეტენტურია განსახილველ საკითხთან მიმართებაში. პლაგიატთან დაკავშირებით საკითხის განხილვისას შესაძლებელია მოწვეული იყოს პირი, რომელიც არაა უნივერსიტეტის პერსონალი.

7.7. უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს უფლებამოსილებები და საქმისწარმოების წესები განისაზღვრება წინამდებარე ეთიკის კოდექსითა და უნივერსიტეტის დებულებით.

8. რეაგირება ეთიკის კოდექსის დარღვევაზე

8.1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების, წინამდებარე ეთიკის კოდექსის ან უნივერსიტეტის სხვა შიდა რეგულაციით გათვალისწინებული ქცევის წესების დარღვევის შესახებ ინფორმაცია, უნივერსიტეტში მოქმედ დისციპლინურ საბჭოს შეიძლება მიაწოდოს უნივერსიტეტის პერსონალმა, უნივერსიტეტის სტუდენტმა ან სხვა ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

8.2. თუ დარღვევის ფაქტი აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას, სასწავლო პროცესში ჩართული პირი ვალდებულია, დარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ან/და უნივერსიტეტის უსაფრთხოების მენეჯერს.

8.3. წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე წესის დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს ან/და უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს უფლება აქვთ, სასწავლო პროცესში ჩართული პირების მიერ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, მოსთხოვოს პირს დარღვევის შეწყვეტა და მისი შესაძლებლობის ფარგლებში აღკვეთოს დარღვევის განხორციელება, რის შესახებაც დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს.

8.4. დისციპლინური საბჭო ვალდებულია განიხილოს მიღებული ინფორმაცია შესაძლო დარღვევის შესახებ და მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების ან საქმისწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რის შესახებაც 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით (ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით) უნდა ეცნობოს განმცხადებელ პირს და პირს, რომლის წინააღმდეგაც განცხადება იყო მიმართული.

9. დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმისწარმოების დაწყება

9.1. დისციპლინური საბჭო ვალდებულია, პირის მიმართ დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება თუ არსებობს ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტთან

გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას.

9.2. დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია, უარი თქვას პირის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებაზე, თუ:

9.2.1. განცხადება არ შეიცავს მითითებას დარღვევის კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით.

9.2.2. განცხადებაში მითითებული ან/და განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული მასალები არ შეიცავს პირის მიერ რაიმე ვალდებულების დარღვევის ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელი საფუძვლების არსებობის სავარაუდო ნიშნებს.

9.2.3. უნივერსიტეტსა და პირს შორის, რომლის წინააღმდეგაც მიღებულია განცხადება, აღარ არსებობს (ნებისმიერი საფუძვლით შეწყდა ან სხვა) შესაბამისი ხელშეკრულება და, ამავდროულად, დისციპლინური საქმისწარმოების შესაძლო შედეგის მიმართ აღარ არსებობს უნივერსიტეტის ინტერესი და არც დაინტერესებული პირის განცხადებიდან იკვეთება ასეთი ინტერესი.

10. დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმისწარმოება

10.1. დისციპლინური საბჭო ვალდებულია პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი განიხილოს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

10.2. საქმისწარმოების პროცესში, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, დისციპლინური საბჭო ვალდებულია, მოიძიოს საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მასალები და მტკიცებულებები (მათ შორის, პირის ახსნა-განმარტება, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება).

10.3. საქმისწარმოების პროცესში ყველა მასალა და მტკიცებულება განხილული და შეფასებული უნდა იქნას ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურად.

10.4. საქმისწარმოების პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, რექტორი ახდენს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას.

10.5. დისციპლინური საბჭოს სხდომები არის დახურული და აღნიშნულ სხდომებზე მონაწილეობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

10.5.1. დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია, სხდომა გახადოს საჯარო იმ პირის შუამდგომლობით, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს წარმოება.

10.5.2. სხდომებში მონაწილეობის უფლება აქვთ დისციპლინური საბჭოს წევრებს, ასევე პირს, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს წარმოება, დარღვევის შესახებ განმცხადებელ პირს და საბჭოს წევრების მიერ განსაზღვრულ პირებს, რომელთა მონაწილეობაც მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტისთვის.

10.6. დისციპლინური წარმოების ვადას წარმოადგენს 30 კალენდარული დღე წარმოების დაწყებიდან.

10.7. დისციპლინური საქმისწარმოების შეჩერება, შეჩერების ხანგრძლივობით იწვევს შესაბამისი ვადების დინების შეჩერებას.

10.7.1. გონივრული ვადით დისციპლინური პასუხისმგებლობის შეჩერების საფუძვლებია:

10.7.1.1. თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა წარმოების დასრულებამდე.

10.7.1.2. დისციპლინური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისთვის საჭირო ვადით (მათ შორის მტკიცებულებების სხვა პირებისგან გამოთხოვის შემთხვევაში).

10.7.1.3. საბჭოს წევრების შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, მანამდე, სანამ საბჭოს შემადგენლობა არ შეივსება დებულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

10.7.1.4. სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას.

10.8. დისციპლინური საბჭო საქმისწარმოების ფარგლებში, საქმის სრულად და ობიექტურად, წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად საქმის განხილვის შემდეგ, იღებს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთს:

10.8.1. დამრღვევი პირის მიმართ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე (ან განსაკუთრებულ შემთხვევაში - რამდენიმე) პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ.

10.8.2. წყვეტს დისციპლინურ საქმისწარმოებას.

10.9. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომის შერჩევისას, საბჭო ითვალისწინებს დარღვევის ხასიათს, სიმძიმეს, დამდგარ ზიანს და დამრღვევი პირის მიერ წარსულში უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტების დარღვევის ფაქტებს.

10.10. დისციპლინური საქმისწარმოება წყდება და პირის არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა თუ:

10.10.1. განცხადებაში მითითებული ან/და წარმოების ფარგლებში მოპოვებული მასალები არ შეიცავს პირის მიერ რაიმე ვალდებულების დარღვევის ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელი საფუძვლების დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

10.10.2. განცხადებაში მითითებული ან/და წარმოების ფარგლებში მოპოვებული მასალების მიხედვით, დარღვევის უმნიშვნელო ხასიათისა და დამრღვევი პირის დამოკიდებულების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არაა პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება.

10.10.3. გასულია წინამდებარე კოდექსით დისციპლინური სამართალწარმოებისთვის ან/და პასუხისმგებლობისთვის გათვალისწინებული ვადები.

10.10.4. უნივერსიტეტსა და პირს შორის, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს საქმისწარმოება, აღარ არსებობს (ნებისმიერი საფუძვლით შეწყდა ან სხვა) შესაბამისი ხელშეკრულება და ამავდროულად, დისციპლინური საქმისწარმოების შესაძლო შედეგის მიმართ აღარ არსებობს უნივერსიტეტისა და შესაბამისი დაინტერესებული პირის ინტერესები.

10.11. დისციპლინური წარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

10.12. დისციპლინური წარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, წერილობით (ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით) უნდა ეცნობოს განმცხადებელ პირს და პირს, რომლის წინააღმდეგაც განცხადება იყო მიმართული.

10.13. პირს არ შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დარღვევის ფაქტი აღმოჩენილია მისი ჩადენიდან 3 კალენდარული წლის შემდეგ.

11. პირის უფლებები დისციპლინური საქმის წარმოებისას

11.1. პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური საქმისწარმოების პროცესი, უფლებამოსილია, ისარგებლოს შემდეგი უფლებებით:

11.1.1.დაიცვას ინტერესები თვითონ ან წარმომადგენლის მეშვეობით.

11.1.2.გაეცნოს მის წინააღმდეგ დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების საქმის მასალებს.

11.1.3.დაესწროს დისციპლინური საბჭოს სხდომის იმ ნაწილს, სადაც განიხილება მასთან დაკავშირებული საკითხი.

11.1.4.მონაწილეობა მიიღოს საქმისწარმოების ფარგლებში შეგროვებული მასალებისა და მტკიცებულებების გამოკვლევაში.

11.1.5.დისციპლინურ საბჭოს მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, წარუდგინოს მას წერილობითი ახსნა-განმარტება და სხვა მასალები.

11.1.6.დისციპლინური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლო ორგანოებში.

12. დასკვნითი დებულებები.

12.1. წინამდებარე ეთიკის კოდექსი ძალაში შედის უფლებამოსილი პირის მიერ მისი დამტკიცების დღიდან და ინდივიდუალურად შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს პირის მიერ მისი გაცნობისა შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

12.2. წინამდებარე ეთიკის კოდექსი (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) ყველა დაინტერესებული და ვალდებული პირისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12.3. წინამდებარე ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანაზე უფლებამოსილი პირი განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ თავად ცვლილებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, წინამდებარე ეთიკის კოდექსში შესული ცვლილებები შესასრულებლად სავალდებულო ხდება ცვლილების შესაბამისი მხარისთვის გაცნობის მომდევნო დღიდან.

12.4.1.ეთიკის კოდექსში განხორციელებული ცვლილება მხარეს ეცნობება შემდეგი ფორმებიდან ერთ-ერთის გამოყენებით: გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ან სამსახურეობრივ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსება, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.